თბილისის საარქივო
ფილმების
საერთაშორისო ფესტივალი
TBILISI INTERNATIONAL
ARCHIVAL
FILM FESTIVAL
TIAFF@archives.gov.ge

5-8 ოქტომბერი / OCTOBER

5 ოქტომბერი/OCTOBER 5

19:00 ფესტივალის გახსნა
ჩვენება - ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის მოგზაურობა
რაჭა-ლეჩხუმში 21 ივლისიდან 2 აგვისტომდე, 1912წ.
(საქართველოს ეროვნული არქივი)

Opening ceremony
Screening - The Journey of the Georgian poet Akaki Tsereteli to Racha-Lechkhumi from July 21 to August 2, 1912 (National Archives of Georgia)

6 ოქტომბერი/OCTOBER 6

15:00 კატალონიის ფილმოთეკა
15:10 ბრიტანეთის საიმპერიო ომის მუზეუმი
15:15 მოლდოვის რესპუბლიკის ეროვნული არქივი
15:20 გერმანიის კინოინსტიტუტი და კინომუზეუმი
16:20 ჩეხეთის ეროვნული კინოარქივი
18:00 ხორვატიის სახელმწიფო არქივი - ხორვატიის სინემათეკა
19:10 ტურინის ეროვნული კინომუზეუმი - მარია ადრიანა პროლოს ფონდი

3:00 pm Film Archive of Catalonia
3:10 pm Imperial War Museum
3:15 pm Agency of National Archives of the Republic of Moldova
3:20 pm German Film Institute & Film Museum
4:20 pm Národní filmový archiv, Prague
6:00 pm Croatian State Archives - Croatian Cinematheque
7:10 pm National Museum of Cinema, Torino - Maria Adriana Prolo Foundation

7 ოქტომბერი/OCTOBER 7

15:00 ჰოლანდიის აი კინომუზეუმი
16:15 მალტის კინოწრე და მალტის ეროვნული არქივი
17:20 პორტუგალიის ეროვნული კინოარქივი
18:50 აშშ-ის ეროვნული არქივისა და ჩანაწერების ადმინისტრაცია
20:05 გერმანიის ფედერალური არქივი (ბუნდესარქივი)

3:00 pm Eye Filmmuseum
4:15 pm Malta Cine Circle and the National Archives of Malta
5:20 pm Portuguese National Film Archive
6:50 pm National Archives and Records Administration of U.S.
8:05 pm German Federal Archive (Bundesarchiv)

8 ოქტომბერი/OCTOBER 8

18:00 ფესტივალების სააგენტოს (საფრანგეთი) ჩვენება-დოკუმენტური ფილმი „სინათლის ხრიკი“ (რეჟისორი ვიმ ვენდერსი)
19:10 საქართველოს ეროვნული არქივი
19:30 ფესტივალის დახურვა

18:00 pm The Festival Agency (France) Screening A TRICK OF THE LIGHT (director: Wim Wenders)
7:10 pm National Archives of Georgia
7:30 pm Closing of the festival

ვაჟა-ფშაველას გამზ. 1 / პეკინის გამზ. 40
1 Vazha-Pshavela Ave. / 40 Pekini Ave.

დასწრება თავისუფალია
Attendance is free

კატალონიის კინოარქივი

უძველესი ფილმები კატალონიის კინოარქივიდან

London. Hyde Park Corner, 1896, Cinematograph Lumière (425), France. B&w, 1 Minut.

Défilé D'un Regiment D'infanterie, 1897, Cinematograph Lumière (790), France. B&w, 1 Minut.

Ball De L'espolsada a Cardedeu, 1902, Casa Napoleón, Barcelona. B&w, 2 Minutes.

Hereu De Can Pruna, 1904. Segundo De Chomón, Macaya Y Marro, Barcelona. B&w. 6 30 Minutes.

წინადადებამ, რომ ფესტივალისთვის ჩვენს კოლექციებში არსებული უძველესი კინოდოკუმენტები შეგვერჩია, მრავალ არქივში გამოკვეთა ორი საერთო საკითხი: ერთი მხრივ, კერძო კოლექციონერების მნიშვნელობა ადრეული კინემატოგრაფიის შენარჩუნებაში, რადგან მათმა კინოთი გატაცებამ ბევრ ქვეყანაში შეავსო კინოარქივების დანაკლისი, და ჩვენ ისინი უნდა დავაფასოთ არა მხოლოდ ფილმების თავმოყრის, არამედ ამ ფილმებსა და დღევანდელ კინოარქივებს შორის დამყარებული კავშირისთვისაც. მეორე მხრივ, გასარკვევია, რომელი ფილმი მიიჩნევა უძველესად, ვინაიდან თითოეული ცნება შეიძლება მიესადაგებოდეს სხვადასხვა სათაურს, ფილმს, მასალას, ა.შ.

სწორედ ამიტომ არჩევანი შევაჩერეთ ოთხ მიმართულებაზე იმის გათვალისწინებით, რომ ფილმები ყოფილიყო რესტავრირებული და გაციფრული ნიტროფუძიანი (35 მმ-იანი) ორიგინალი მასალა. ფილმებს შორის უძველესია “London. Hyde Park Corner”, 1896; ბარსელონაში გადაღებული ყველაზე ძველი ფილმია “Défilé D'un Regiment D'infanterie”, 1897; უძველესი ეროვნული კინონაწარმი კი დოკუმენტური ფილმია – “Ball De L'espolsada a Cardedeu”, 1902; და ბოლოს, უძველესი კატალონიური წარმოების მხატვრული ფილმია ჩომონის მიერ ბარსელონაში ყოფნის პირველ პერიოდში, პარიზში – „პატეში“ – გამგზავრებამდე შექმნილი “Hereu De Can Pruna ”, 1904.

ჩვენ მიერ შერჩეული ოთხი ფილმი ნათლად ასახავს ადრეულ პერიოდში კინემატოგრაფისტებისა და ფილმების მოძრაობას კინემატოგრაფის გასავრცელებლად. ბარსელონის მსგავსმა დიდმა ინდუსტრიულმა ქალაქებმა ენთუზიაზმით მიიღო ეს ყველაფერი და ძალიან სწრაფად თავადაც წამოიწყო საკუთარი ფილმების წარმოების მცდელობები.

TBILISI INTERNATIONAL ARCHIVAL FILM FESTIVAL

Generalitat de Catalunya

FilmoTeca de Catalunya

FILMOTECA DE CATALUNYA
FILM ARCHIVE OF CATALONIA

Oldests Films from Filmoteca de Catalunya

London. Hyde Park Corner, 1896, Cinematograph Lumière (425), France. B&w, 1 Minut.

Défilé D'un Regiment D'infanterie, 1897, Cinematograph Lumière (790), France. B&w, 1 Minut.

Ball De L'espolsada a Cardedeu, 1902, Casa Napoleón, Barcelona. B&w, 2 Minutes.

Hereu De Can Pruna, 1904. Segundo De Chomón, Macaya Y Marro, Barcelona. B&w. 6 30 Minutes.

The proposal to select the oldest titles from our collection available to be screened has highlighted two common issues in many archives: on the one hand, the importance of private collectors in the preservation of early cinema; their passion for cinema has made up for the lack of film archives in many countries, and we must give them credit, not only for collecting, but also for having acted as bridges between those films and today's film archives. On the other hand, there is the ambiguity of which titles are labelled as the oldest, since each concept could be attributed to a different title, film, material, etc.

For this reason, we have made a selection in 4 areas, on the basis that we had to have original 35mm materials on nitrate support, restored and digitised. The oldest, LONDON. HYDE PARK CORNER, 1896; the oldest film shot in Barcelona, DÉFILÉ D'UN REGIMENT D'INFANTERIE, 1897; the oldest national production, a documentary, BALL DE L'ESPOLSADA A CARDEDEU, 1902; and finally, the oldest Catalan-produced fiction, a Chomón film from his first period in Barcelona before his departure to Pathé in Paris, HEREU DE CAN PRUNA, 1904.

The 4 selected titles also show us the mobility of cinematographers and films in the early period to disseminate cinema and the large industrial cities, as Barcelona, embraced it with enthusiasm and very quickly began the first attempts to produce their own films.

ხორვატიის სახელმწიფო არქივი - ხორვატიის კინოთეკა

რეჟისორ ოქტავიან მილეტიჩის ფილმები:
King Tohu Wabohu is Hungry (1930)
Next, Please! (1931)
Amadeus Nickelnagel (1932)
The Affairs of Consul Dorgen (1933)
Faust (1934)

1920-იან წლებამდე ხორვატიაში კინოწარმოება რეგულარული საქმიანობა არ იყო და შექმნილი პროდუქციის უმეტესობა დაიკარგა. ხორვატული კინოს ისტორია ოქტავიან მილეტიჩით იწყება. მილეტიჩი ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებიდან იყო, მდიდარი ოჯახიდან. მან ფილმების გადაღება მეგობრებთან ერთად გასართობად დაიწყო. შთაგონებული იყო კრიმინალური, მელოდრამული და სათავგადასავლო კინოთი, რომელთაც ზაგრების კინოთეატრებში უყურებდა. მის მიერ გასართობად შექმნილი ფილმები დღეს 1920-იანი წლების კინოსჟანრების სახალისო გონივრულ პაროდიებად განიხილება.

წარმოდგენილი პროგრამიდან ორი ფილმი მილეტიჩის შემოქმედების სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება: სათავგადასავლო ფილმების პაროდია კანიბალებთან მებრძოლი გმირების შესახებ – "King Tohu Wabohu is Hungry" (1930) და კრიმინალური მელოდრამის პაროდია საშიში სასიყვარულო სამკუთხედების შესახებ "Next Please!" (დაახლოებით 1931).

1930-იან წლებში მილეტიჩი აგრძელებდა სამოყვარულო ფილმების გადაღებას, ისინი პოპულარული კინოჟანრებით იყო შთაგონებული, თუმცა მისი კინოგადაღება უფრო სერიოზული და ესთეტიკურად მეტად ამბიციური გახდა. ფილმში "Amadeus Nickelnagel" (1932) ის მოგვითხრობს მახვილგონივრული სიყვარულის ამბავს, რომელშიც გენდერული როლები გაცვლილია. ფილმი შეიცავს მოძრავი მანქანიდან გადაღებულ ამბიციურ კადრებს; ამაღელვებელი დეტექტიური ჟანრის ფილმი "The Affairs of Consul Dorgen" (1933) ავბედით კაცზე, რომელსაც გოგონები თავისი ჰიპნოზური გამომეტყველებით სიკვდილამდე მიჰყავს, მილეტიჩის ყველაზე ოსტატურად გადაღებული ფილმია; „Faust“ (1934) ქმნის ფაუსტის ლეგენდის წარმოსახვით და სახალისო პაროდიას, რომელშიც ფაუსტს სურს, ეშმაკმა გააახალგაზრდავოს და რუდოლფ ვალენტინოს დაამსგავსოს.

მილეტიჩი არ იყო მხოლოდ პირველი ხორვატიული ფილმის ავტორი; ის ასევე იყო დღემდე შემორჩენილი პირველი ხორვატიული სრულმეტრაჟიანი ფილმის "Lisinski" (1944) რეჟისორი და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იუგოსლავიური კინოს ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული ხორვატი კინოოპერატორი.

TBILISI INTERNATIONAL ARCHIVAL FILM FESTIVAL

HRVATSKI DRŽAVNI ARHIV
HRVATSKA KINOTEKA

HRVATSKI DRŽAVNI ARHIV - HRVATSKA KINOTEKA
CROATIAN STATE ARCHIVES - CROATIAN CINEMATHEQUE

Films of director Oktavijan Miletic:

King Tohu Wabohu is Hungry (1930)

Next, Please! (1931)

Amadeus Nickelnagel (1932)

The Affairs of Consul Dorgen (1933)

Faust (1934)

Until the late 1920s, filmmaking in Croatia was an irregular activity and the majority of its products were lost. The relevant history of Croatian cinema starts with Oktavijan Miletić. Miletić came from a wealthy family from the Croatian capital, Zagreb. He started making films as a joke with his friends, inspired by the crime, melodrama, and adventure films that he watched in Zagreb's cinemas. "Jokes" are today considered playful, smart parodies of 1920's film genres.

Two films from the programme belong to this period of Miletić's work: the parody of adventure films about heroes fighting cannibals "King Tohu Wabohu is Hungry" (1930), in which the banks of the Sava near Zagreb stand for the African jungle, and the parody of crime melodramas about dangerous love triangles "Next, Please!" (around 1931).

In the 1930s Miletić continued making amateur films inspired by popular film genres, but his filmmaking became more serious and aesthetically more ambitious. In "Amadeus Nickelnagel" (1932), he tells a witty love story in which gender roles are reversed. This film features ambitious shots filmed from a moving car. The exciting mystery movie "The Affairs of Consul Dorgen" (1933) about a sinister man that drives girls to their deaths with his hypnotic eyes is Miletić's most skilfully directed film. "Faust" (1934) is a very imaginative and funny parody of the legend of Faust in which Faust wants the devil to make him young and look like Rudolf Valentino.

Miletić was not only the first Croatian film auteur. He was also the director of the first saved Croatian feature-length film, "Lisinski" (1944), and one of the most esteemed Croatian directors of photography in Yugoslav cinema after the Second World War.

ჩეხეთის ეროვნული კინოარქივი

იან კრიჟენეცკის ფილმები

მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების სერიები, განახლებული ვერსიები და სკეჩები ჩეხური კინონოვატორის იან კრიჟენეცკის ავტორობით, სარკმელია 1898-1908 წლების ადრეულ ჩეხურ კინემატოგრაფიაში. „ცოცხალი სურათების“ კოლექცია, როგორც მათ იმდროინდელ რეკლამებში უწოდებდნენ, აღნიშნული წლების ყველა გადარჩენილ ნაწარმოებს მოიცავს და ასახავს არა მხოლოდ სიახლეებს, ღირსშესანიშნაობებსა და მნიშვნელოვან მოვლენებს, არამედ მხატვრული ფილმების სათავესაც. ამის მაგალითია სამი ერთკადრიანი მოძრავი სურათი კაბარეს მოცეკვავე იოზეფ შვაბ-მალოსტრანსკის მონაწილეობით.

გარდა მისი უდავო დოკუმენტური ღირებულებისა, იან კრიჟენეცკის ფილმები შუქს ჰფენს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე არსებული კინოს დაბადებასა და განვითარებას, როგორც გამოხატვის ერთგვარ საშუალებას. გაციფრებული ორიგინალი ნეგატივები და მაღალი ხარისხის ანაბეჭდები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მათი მრავალფეროვნება და მატერიალური სილამაზე. მაღალი ხარისხის ანაბეჭდებმა შეინარჩუნა ლუმიერის ფირის სპეციფიკური ფერი მისი მაშინდელი ფორმით.

იან კრიჟენეცკის ფილმებმა, რომელთა გაციფრებისა და რესტავრაციის პროექტი ჩეხეთის ეროვნულმა კინოარქივმა განახორციელა, 2020 წელს FOCAL-ის საერთაშორისო ჯილდო დაიმსახურა საუკეთესო საარქივო სარესტავრაციო და საკონსერვაციო პროექტისთვის.

TBILISI INTERNATIONAL ARCHIVAL FILM FESTIVAL

Národní filmový archiv

NÁRDONÍ FILMOVÝ ARCHIV
CZECH NATIONAL FILM ARCHIVE

Films of Jan Kříženecký

The series of short documentary films, updates and sketches by the innovator of Czech film, Jan Kříženecký, are a window into the early beginnings of Czech cinematography between 1898 and 1908. The collection of "living images", as they were called by advertisements of the time, includes all surviving productions of those years and chronicles not only novelties, attractions, and important events but also the dawn of feature films, an example of which are three single-shot motion pictures starring cabaret performer Josef Šváb-Malostranský.

Aside from its undisputable documentary value, the collection of films by Jan Kříženecký illuminates the birth and development of film as a means of expression at the turn of the 19th and 20th centuries. The digitised original negatives and vintage prints allow us to see their diversity and material beauty. The specific colour of Lumière film material in their then shape was preserved in the vintage prints.

The Films of Jan Kříženecký, a digitisation and restoration project by Národní filmový archiv, Prague, received the 2020 FOCAL International Award for Best Archive Restoration and Preservation Project.

საიმპერიო ომის მუზეუმი

A Sneaky Boer
Skirmish Round the Flag

“A Sneaky Boer” კინოსტუდია „მიტჩელის და კენიონის“ მოკლე ინსცენირებაა ბურების ომის შესახებ. ის გვიჩვენებს ორ ბურს, რომლებიც შეუმჩნევლად ეპარებიან ბრიტანელ ჯარისკაცს, ზურგში ჭრიან და ვაზნების ქამარსა და ძვირფას ნივთებს ჰპარავენ. ჯარისკაცზე თავდასხმას მისი თანამებრძოლი შეესწრება და ჩხუბი იწყება. ბრიტანელი იმარჯვებს, ხოლო მომაკვდავი ადამიანი უსაფრთხო ადგილას გადაჰყავთ (მიუხედავად იმისა, რომ ფილმში მოქმედება სამხრეთ აფრიკაში ხდება, ის ბლექბერნის გარეუბანში გადაიღეს).

“Skirmish Round the Flag” კინოსტუდია „მიტჩელის და კენიონის“ მოკლე ინსცენირებაა ბურების ომის შესახებ. ის წარმოგვიდგენს ორ მედდას, რომლებიც სასტიკ ბურებს ბრიტანული ჯარის ჩარევის შედეგად ბოლო წამს გადაურჩნენ.

TBILISI INTERNATIONAL ARCHIVAL FILM FESTIVAL

IMPERIAL WAR MUSEUMS

IMPERIAL WAR MUSEUM

A Sneaky Boer

Skirmish Round the Flag

A SNEAKY BOER A dramatised Boer War short made by the Lancashire firm of Mitchell and Kenyon. It shows two Boers sneaking up unobserved on a British soldier. He is stabbed in the back, and the Boers proceed to rob him of his cartridge belt and valuables. The attack on the soldier is seen by a comrade and a fight ensues. Victory is achieved by the British, and the dying man is conveyed to a place of safety. (Despite its South African setting, it was filmed on the outskirts of Blackburn.)

SKIRMISH ROUND THE FLAG Dramatised Boer War' short was made by the Lancashire firm of Mitchell and Kenyon. It shows two nurses saved from the clutches of murderous Boers by the last-minute intervention of British troops. It was filmed on the outskirts of Blackburn.

თბილისის საარქივო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ეროვნული არქივი

ქართველი მგოსნის
აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს
გაზაფხული
კოლხიდა (არგონავტები)

„ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“ – ვასილ ამაშუკელის (1886-1977) მიერ 1912 წელს გადაღებული პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი – ქართული და მსოფლიო კინემატოგრაფიის უნიკალური ძეგლია. იგი მოგვითხრობს აკაკი წერეთლის 12-დღიანი მოგზაურობის შესახებ რაჭა-ლეჩხუმში, სადაც 72 წლის პოეტის სტუმრობა უდიდესი კულტურული მნიშვნელობის მოვლენად იქცა.

1900-იან წლებში შექმნილი დოკუმენტური ფილმების უმრავლესობა მეტწილად ყურადღებას მეფეებისა და მათი ოჯახების ცხოვრებაზე, სამხედრო აღლუმებზე, სახელმწიფო და საეკლესიო პირების დაკრძალვებზე ამახვილებდა. „ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“ კი გამოხატავს ქართველი ხალხის ნიჭს, აღტაცებას, განათლებასა და სულიერ ღირებულებებს; ასახავს კლასობრივი სოლიდარობისა და ეროვნული თავისუფლების წყურვილს, ამ იდეის სიმბოლოდ ქცეული პოეტის გარშემო გაერთიანებულს. ეს არის მხატვრულად გააზრებული ფილმი, რომელიც ქართულ დოკუმენტურ კინოს უდებს სათავეს.

ფილმის პრემიერა 1912 წლის 20 სექტემბერს ქუთაისში, კინოთეატრ „რადიუმში“ შედგა. თხუთმეტი დღის განმავლობაში ფილმის სანახავად უამრავი მაყურებელი იკრიბებოდა.

ჟორჟ სადული, ფრანგი ჟურნალისტი და კინომცოდნე აღნიშნავდა: „...როგორც ვიცი, 1912 წლამდე არც ერთ ქვეყანაში არც ერთი სრულმეტრაჟიანი ფილმი (1 200 მეტრი) არც ერთი ცნობილი პიროვნებისათვის არ მიუძღვნიათ. ჩემი აზრით, არ არსებობს სამი ან მეტ-ნაწილიანი დოკუმენტური ფილმი არც ანატოლ ფრანსზე, არც ანრი ბარბიუსსა და არც რომენ როლანზე.

„გაზაფხული“ 1930 წელს შექმნილი აგიტაციური მულტპლაკატია. კოლმეურნეობის თემაზე გადაღებულ ანიმაციურ ფილმში საბჭოთა იდეოლოგია და აგიტაცია-პროპაგანდა მწირი მხატვრული ხერხებითა და ეპოქისთვის დამახასიათებელი პლაკატურებითაა გადმოცემული. პროპაგანდისტულ ანიმაციურ ფილმში რეჟისორი საბჭოთა საქართველოს მასშტაბით თითოეული რეგიონის კოლმეურნეობის ვიზუალური სტატისტიკის სურათს ქმნის უცვლელი რიტორიკით: „კულაკი ღარიბი კაცის მტერია!“ „კოლექტივიზაცია ითხოვს!“ რიგითი გლეხის მაგალითზე ნაჩვენებია, თუ როგორი მძიმეა მიწასთან მარტო მუშაობა და ერთადერთი „სწორი“ გზა საკუთარი შრომისა და მიწის კოლმეურნეობასთან თანაარსებობაა. ანიმაციის ფინალური კადრიც 1930-იანი წლების საბჭოთა აგიტაციური პლაკატის გამოძახილია, ტექსტით: „მოქალაქე! რა მონაწილეობას იღებ თესვის კამპანიის ჩატარების საქმეში?!“

ლადო მუჯირის „კოლხიდა“ („არგონავტები“) 1934 წელს გადაღებული პირველი ქართული ანიმაციური ფილმია და არგონავტების მითის მოტივებზეა შექმნილი. ბერძენი იასონი კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ჩადის. კოლხი მეფის ასული მედეა მას ჩანაფიქრის განხორციელებაში ეხმარება. მულტიპლიკაციაში ანტიკური მითის ქართული მოტივებია აქცენტირებული. მნიშვნელოვანია, რომ „კოლხიდა“ ისტორიულ ფაქტს ეხმიანება და მასში კოლხეთის დაბლობის ამოშრობის პროცესი მეტაფორულადაა წარმოდგენილი. ჭაობის ბინადრები ფილმის მთავარ ვიზუალურ სახე-ხატს ქმნიან და რეჟისორიც სწორედ მათი მეშვეობით არაერთ შთამბეჭდავ სცენას ქმნის: ტალღებზე ამხედრებული იასონის ხომალდი, კოლხეთის ჭაობის ამოშრობისას ბაყაყების ლაშქრობა, კოღოების ჯაზი, ტანკების მარში, ბრძოლა ჭაობის ბინადრებსა და იასონს შორის, ქართული ცეკვა და სხვ.





TBILISI INTERNATIONAL ARCHIVAL FILM FESTIVAL

National Archives of Georgia

NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA

THE JOURNEY OF GEORGIAN POET AKAKI TSERETELI IN RACHA-LECHKHUMI IN 1912
GAZAPKHULI (SPRING)
KOLKHIDA (ARGONAUTS)

THE JOURNEY OF GEORGIAN POET AKAKI TSERETELI IN RACHA-LECHKHUMI IN 1912" – the first Georgian full-length documentary, directed by Vasil Amashukeli (1886-1977) in 1912 – represents a unique monument of Georgian and world cinema. It features the 12-day journey of the Georgian legendary poet and public figure Akaki Tsereteli through the western alpine region of Racha-Lechkumi. 72-year-old Akaki Tsereteli's visit to Racha-Lechkhumi became an event of great cultural and public importance.

In the 1900s, documentaries mainly focused on the lives of the kings and their families, military parades, funerals of state and ecclesiastical figures. "THE JOURNEY OF GEORGIAN POET AKAKI TSERETELI IN RACHA-LECHKHUMI IN 1912" represents a monument expressing the talent, admiration, education, and spiritual height of the Georgian people; it depicts a desire for class solidarity and national freedom, united around the poet, representing a symbol of this idea. It was an artistically thought-out film, marking the beginning of the history of Georgian documentary.

The premiere of the film was held on September 20, 1912, in Kutaisi, at the Radium Cinema. For 15 days, the film enjoyed a capacity audience.

French journalist and cinema writer Georges Sadoul had noted: "... As far as I know, no full-length film (1 200 meters) was dedicated to any famous person in any country prior to 1912. In my opinion, there are no three or more-part documentaries about either Anatole France, Henri Barbusse, or Romain Rolland".

"Gazapkhuli" is an agitational cartoon poster created in 1930. In the animated film on the subject of collective farming, the Soviet ideology and agitation-propaganda are conveyed with scarce artistic methods and posters characteristic of the epoch. In a propaganda animated film, the director creates a visual statistical picture of the collective farms of each region throughout Soviet Georgia with the constant rhetoric: "The kulak is the enemy of the poor man!" "Collectivization demands!" It is demonstrated by the example of a common peasant how difficult it is to work alone with the land, and the only "correct" way is to coexist with your own work and land through collective farming. The final frame of the animation is also an echo of the Soviet propaganda poster of the 1930s, with the text: "Citizen! What part do you take in the sowing campaign?!"

“Kolkhida" ("Argonauts") is the first Georgian animated film shot by Lado Mujiri in 1934 and is based on the myth of the Argonauts. The Greek Jason arrives in Colchis to find the Golden Fleece. Medea, the daughter of the Colchis king, helps him to fulfil his plan. The Georgian motifs of the ancient myth are emphasised in the animation. It is important that "Kolkhida" refers to a historical fact, and the drying process of the Colchis plain is presented metaphorically. The inhabitants of the swamp form the main visual image of the film, and the director creates a number of impressive scenes through them: Jason's ship riding on the waves; the march of frogs when the Colchis swamp dries up; the jazz of mosquitoes; the march of tanks; the battle between the swamp inhabitants and Jason; the Georgian dance; etc.

გერმანიის კინოინსტიტუტი და კინომუზეუმი

Das Leben der Pflanze von der Blüte zur Frucht
Rache ist süß
Lidy et Teddy aux bains de mer [Im Bad]
Demo-Film für Sirius Farbverfahren [Farbfilmversuche]
Liebestragödie
Wonderen der Kristallenwereld [Die Wunder der Kristallwelt]

პროგრამა აერთიანებს ბოლო პერიოდში რესტავრირებულ მაღალი ხარისხის ნიტროფუძიან ექვს ანაბეჭდს გერმანიის კინოსინსტიტუტისა და კინომუზეუმის (DFF) კოლექციიდან. 1910-იანი წლების ბოლოდან 1930-იანი წლების დასაწყისამდე მოკლემეტრაჟიანი ფილმები წარმოგვიდგენს ფერთა დამუშავების მრავალფეროვნებას, იმ დროსთვის დამახასიათებელი სირიუსის ელფერით, ტონებით, შაბლონური ფერებითა და კომპილაციური ბობინებით. ბოტანიკის შესახებ საგანმანათლებლო ფილმით გახსნილი ეს ჩვენება მოიცავს მხატვრული ფილმების ორ ფრაგმენტს: პირველი არის კომედია „Süße Rache“ („ტკბილი შურისძიება“), რომელშიც საზოგადოებას ტანჯავს ქავილი. მეორე მხატვრული ფილმი "Liebestragödie" („სასიყვარულო ტრაგედია“) გვიჩვენებს ახალგაზრდა ქალს, რომელსაც არ სურს დაემორჩილოს მშობლის სურვილებს კანონიერი ქორწინებისა და სამუშაოს შესახებ. ფილმებში ნაჩვენებია ბანაობის მხიარული სცენები და ოჯახური არდადეგები, მაგრამ, ამავდროულად, ქალთა თანამედროვე მოდა და მანქანის უახლესი მოდელები. პროგრამას თუ შევაჯამებთ, ის ქმნის მზარდი კრისტალების მაკროსურათებს, უამრავ ცვალებად გეომეტრიულ ფორმასა და აბსტრაქტულ ხაზებს.

TBILISI INTERNATIONAL ARCHIVAL FILM FESTIVAL

DFF DEUTSCHES FILMINSTITUT FILMMUSEUM

DFF - DEUTSCHES FILMINSTITUT & FILMMUSEUM
GERMAN FILM INSTITUTE & FILM MUSEUM

Das Leben der Pflanze von der Blüte zur Frucht
Rache ist süß
Lidy et Teddy aux bains de mer [Im Bad]
Demo-Film für Sirius Farbverfahren [Farbfilmversuche]
Liebestragödie
Wonderen der Kristallenwereld [Die Wunder der Kristallwelt]

This programme comprises recent restorations of six vintage nitrate prints from the collection of the DFF—Deutsches Filminstitut & Filmmuseum. The short films, ranging from the late 1910's to the beginning of the 1930's, showcase the diversity of colour processes available at the time, with tints, tones, stencil colours and a compilation reel of Sirius colour. This screening opens with an educational film on botany. It includes two fragments of fiction films: the first being the comedy "Süße Rache" (Sweet Revenge), wherein an evening society is plagued by an itching substance. The second feature, "Liebestragödie" (A Love Tragedy), portrays a young woman not wanting to conform to her parent's wishes of wedlock and working life. Between these two stories, colourful representations of everyday life scenes are to be found within an incomplete Pathé film as well as a showreel. They display the joy of bath scenes and family holidays, but also the latest women's fashion and the newest car models. Rounding up the programme are macro pictures of growing crystals and the many changing geometric forms and abstract lines they create.

გერმანიის ფედერალური არქივი

ძმები სკლადანოვსკების ადრეული ფილმები

პირველი ნაწილი: ე.წ. "Wintergartenprogramm", რომლის პრემიერაც 1895 წლის 1 ნოემბერს ბერლინის ვინტერგარტენის ვოდევილის თეატრში შედგა.

1. Italienischer Bauerntanz (Italian peasant dance)
2. Komisches Reck (Funny bar)
3. Boxendes Känguruh (Boxing kangaroo)
4. Jongleur (Juggler)
5. Acrobatisches Potpourri (Acrobatic potpourri)
6. Kamarinskaja
7. Serpentinentänzerin (Serpentine dancer)
8. Ringkämpfer (Wrestler)
9. Apotheose I (Skladanowsky Bros. taking a bow)

მეორე ნაწილი: მეორე ნაწილის პრემიერა 1897 წლის 17 მარტს შტეტინში (შჩეცინი, დღევანდელი პოლონეთი) შედგა.

1. Leben und Treiben am Alexanderplatz in Berlin (Life and hustle and bustle at Alexanderplatz in Berlin)
2. Komische Begegnung im Thiergarten zu Stockholm (Funny encounter in a park in Stockholm)
3. „Unter den Linden“ in Berlin (Boulevard "Unter den Linden" in Berlin)
4. Alarm der Feuerwehr (Fire brigade alarm)
5. Ausfahrt der Feuerwehr (Exit of the fire brigade)
6. Ankunft des Eisenbahnzuges (Arrival of the railway train)
7. Die Wachtparade mit Ablösung der Wache (The guard parade with changing of the guard)
8. Am Bollwerk in Stettin (At the bulwark in Szczecin)
9. Apotheose II (Skladanowsky Brothers, the inventors of "Living Photographs")

როდესაც მაქს და ემილ სკლადანოვსკებმა პირველად აჩვენეს თავიანთი „ცოცხალი სურათები“ 1895 წლის 1 ნოემბერს ბერლინის ვინტერგარტენის ვოდევილის თეატრში, იცოდნენ, რომ ისტორიას ქმნიდნენ. ძმებ ლუმიერებთან და სხვა გამომგონებლებთან კონკურენციით სურდათ კინოსურათი დამსწრე აუდიტორიის წინაშე ეკრანზე პირველებს გაეშვათ.

იმავე წლის ზაფხულში მაქს სკლადანოვსკიმ თავისივე აწყობილი კინოკამერით სცენები ბერლინის სხვადასხვა ადგილას გადაიღო. გადასაღებ მასალად კამერისთვის ნედლ ნეგატივს იყენებდა. საპროექციო პოზიტივი რომ დაებეჭდა, ფირის ზოლი ხელით გულმოდგინედ ჩარჩოების გასწვრივ უნდა ამოეჭრა, შემდეგ კი უკან დაებრუნებინა გასამრავლებლად.

1990-იანი წლების დასაწყისში, 1995 წელს, კინემატოგრაფიის 100 წლის მოახლოებულ იუბილესთან დაკავშირებით ბუნდესარქივმა ფილმების ციფრული რესტავრაცია გადაწყვიტა. ორ პროგრამაში შეკრებილი ფილმები 6-დან 16 წამამდეა და თითოეული ერთხელ მეორდება არსებულ ვერსიაში. სტატიკური კადრები აღნიშნავს სცენის დაწყებასა და დასასრულს. ინტერტიტრების დიზაინი ეფუძნება მინის სლაიდებს, რომელთაც თავდაპირველად ფილმის შეცვლის დროს აჩვენებდნენ.

TBILISI INTERNATIONAL ARCHIVAL FILM FESTIVAL

Bundesarchiv

BUNDESARCHIV
GERMAN FEDERAL ARCHIVE

The Early Films of the Skladanowsky Brothers

First part: The so-called "Wintergartenprogramm" which premiered November 1, 1895 at the Wintergarten Vaudeville Theatre in Berlin

1. Italienischer Bauerntanz (Italian peasant dance)
2. Komisches Reck (Funny bar)
3. Boxendes Känguruh (Boxing kangaroo)
4. Jongleur (Juggler)
5. Acrobatisches Potpourri (Acrobatic potpourri)
6. Kamarinskaja
7. Serpentinentänzerin (Serpentine dancer)
8. Ringkämpfer (Wrestler)
9. Apotheose I (Skladanowsky Bros. taking a bow)

Second part: Second programm premiered on March 17, 1897 in Stettin (Szczecin, today Poland)

1. Leben und Treiben am Alexanderplatz in Berlin (Life and hustle and bustle at Alexanderplatz in Berlin)
2. Komische Begegnung im Thiergarten zu Stockholm (Funny encounter in a park in Stockholm)
3. „Unter den Linden“ in Berlin (Boulevard "Unter den Linden" in Berlin)
4. Alarm der Feuerwehr (Fire brigade alarm)
5. Ausfahrt der Feuerwehr (Exit of the fire brigade)
6. Ankunft des Eisenbahnzuges (Arrival of the railway train)
7. Die Wachtparade mit Ablösung der Wache (The guard parade with changing of the guard)
8. Am Bollwerk in Stettin (At the bulwark in Szczecin)
9. Apotheose II (Skladanowsky Brothers, the inventors of "Living Photographs")

When Max and Emil Skladanowsky showed their "living pictures" for the first time on November 1, 1895 at the Wintergarten Vaudeville Theatre in Berlin, they knew that they would make history. In a race against the Lumière brothers and other inventors, they wanted to be the first to get pictures running on a screen in front of a paying audience.

In the summer of that year, Max Skladanowsky recorded scenes at various locations in Berlin with a film camera he had built himself. He used raw negative film for cameras as recording material. In order to be able to print a projectable positive, the film strip had to be painstakingly cut apart by hand, frame by frame, and put back together again for copying. The Skladanowskys made a virtue out of necessity. They copied the odd-numbered and even-numbered images separately onto a strip of positive film. The images were then alternately projected onto the screen in the correct order with the help of a double projector that they had also constructed themselves, called Bioskop. The advantage of this method was obvious: while the projection of a single film strip caused flickering due to the darkening during transport from image to image, the bioscope fades from image to image without a dark phase.

In the early 1990s, the Bundesarchiv decided to have the films restored using digital techniques on the occasion of the upcoming 100th anniversary of cinematography in 1995. The films assembled into the two programs are between 6 and 16 seconds long and are each repeated once in the present version. Still images mark the beginning and end of a scene. The design of the intertitles is based on glass slides that were originally shown during the film change.

აი კინომუზეუმი

ბრწყინვალე ბიოგრაფი (The Brilliant Biograph): ევროპის ადრეული მოძრავი კინოსურათები (1897-1902)

მუტოსკოპისა და ბიოგრაფიული კოლექციები აი კინომუზეუმში დაცულ უძველეს ფილმებს მოიცავს. იგი აერთიანებს 1897-1902 წლებში ორიგინალ 68მმ-იან ფირზე გადაღებულ 200-ზე მეტ ფილმს და მსოფლიოში შემორჩენილი 68მმ-იანი მუტოსკოპისა და ბიოგრაფიული ფილმების უდიდესი კოლექციაა.

1896 წელს დაარსებულმა მუტოსკოპის ამერიკულმა კომპანიამ 1897 წელს გააფართოვა საქმიანობის არეალი ევროპაში. ფილიალები დააფუძნა დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, გერმანიასა და საფრანგეთში. ბრწყინვალე ბიოგრაფი ამ ევროპული პროდუქციის ზოგიერთი ნიმუშის დემონსტრირებას ახდენდა. კომპილაცია დაყოფილი იყო ხუთ თემატურ თავად, რომლებიც ევროპაში მატარებლით მოგზაურობას (როგორც სივრცეში, ასევე დროში) ასახავდა. შერჩევა არ ეფუძნებოდა ისტორიულ ან გეოგრაფიულ სიზუსტეს. ნაცვლად ამისა, ფილმები აბსტრაქტულ კოლაჟშია გაერთიანებული, რათა წარმოაჩინოს საუკუნის მიწურულს ცხოვრების სხვადასხვა გამორჩეული ასპექტი: ურბანიზაცია, დასვენება, ტურიზმი, ტექნოლოგიური ინოვაციები და ვოდევილები.

დაახლოებით ოცი წლის წინ ფილმები ინახებოდა ფოტოქიმიურად, 68მმ-იანი ფირების 35მმ-მდე შემცირება პროექციის შესაძლებლობას იძლეოდა. ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით დღეს უკვე 68მმ-იანი პოზიტიური პირის ციფრული ასლი მზადდება მათი ფიზიკური შემცირების გარეშე. თავდაპირველი სისტემის პერფორაციების დანაკლისის, ასევე ცვეთისა და დაზიანების პრობლემის გადაჭრა უკეთ შეიძლება ციფრული რესტავრაციით, თუმცა ზოგიერთი ლაქა ხელუხლებელი რჩება, როგორც ამ ტექნოლოგიისთვის არის დამახასიათებელი. დიდი მოცულობის მონაცემების შემცველი ფაილების დამუშავებისა და პროექტირების უნართან ერთად, ბრწყინვალე ბიოგრაფი არის მუტოსკოპისა და ბიოგრაფიული ფილმების აღდგენის მცდელობა 8K დიგიტალიზაციისა და 4K DCP პროექციის საშუალებით. განსხვავებული შინაარსისა და რიტმის ეს ძალიან მოკლე ფილმები საჭიროებს კარგად გააზრებულ მუსიკალურ აკომპანიმენტს. აქედან გამომდინარე, ფორტეპიანოს სპეციალური პარტიტურა შექმნა და ჩაწერა დაან ვან დენ ჰურკმა. პარტიტურა აერთიანებს კომპილაციას, რომელიც გასდევს მის სტრუქტურას და, ამავდროულად, აღიარებს ცალკეული ფილმის რეალურ ღირებულებას.

TBILISI INTERNATIONAL ARCHIVAL FILM FESTIVAL

eye

EYE FILMMUSEUM

The Brilliant Biograph: The Earliest Moving Images of Europe (1897-1902)

The Mutoscope and Biograph Collection contains the oldest films held at Eye Filmmuseum. It includes over 200 films on the original 68mm stock, shot between 1897 and 1902. This constitutes the largest existing collection of 68mm Mutoscope and Biograph films surviving in the world.

The American Mutoscope Company, founded in 1896, expanded its scope to Europe in 1897, with branches in Great Britain, the Netherlands, Germany, and France. The Brilliant Biograph is a showcase for some of the highlights of these European productions. The compilation is divided into five thematically arranged chapters, providing a tour of Europe (both in space and time) held together by train rides. The selection is not based on historical or geographical accuracy. Instead, the films are put together in an abstract collage to evoke various prominent aspects of turn-of-the-century life, such as urbanization, recreation, tourism, technological innovation, and vaudeville performances.

Around twenty years ago, the films were preserved photochemically by downsizing the 68mm stock to 35mm to allow projection. Developments in digital technology today allow us to copy the 68mm prints digitally without physically downsizing them. The original system's lack of perforations and the wear and tear can also be better addressed with digital restoration, although some marks are left unremoved as inherent to this technology. Combined with the ability to handle and to project big data files, The Brilliant Biograph is an attempt to reproduce the grandeur of the original Mutoscope and Biograph films through 8K digitization and 4K DCP projection.

These very short films of varying content and rhythm require a well-thought-out musical accompaniment. Hence, a special piano score was composed and recorded by Daan van den Hurk. His score holds the compilation together, flowing along its structure while also recognizing the intrinsic value of each individual film.

ტურინის ეროვნული კინომუზეუმი – მარია ადრიანა პროლოს ფონდი

Danse De L'éventail (Produzione Lumière, 1897-1899)

[variante Di Nouvelles Luttes Extravagante] (Georges Méliès, Star-film)

Donna Che Balla [da Identificare]

Festa Pirotecnica Nel Cielo Di Londra [grand Display of Brock's Fireworks at the Crystal Palace] (Charles Urban Trading Company, 1904)

La Peine Du Talion (Gaston Velle, Pathé Frères, 1906)

Le Spectre Rouge (Segundo De Chomón, Pathé Frères, 1907)

en Avant La Musique (Segundo De Chomón, Pathé Frères, 1907)

L'amour Et L'argent (Lux Film, 1908)

La Belle Au Bois Dormant ([albert Cappellani, Lucien Nonguet], Pathé Frères, 1908)

Magie Moderne (Segundo De Chomón, Pathé Frères, 1908)

Buonasera Signorina Bonelli! (Giovanni Vitrotti, S. A. Ambrosio, 1906)

Buonasera, Fiori! (S. A. Ambrosio, 1909)

ტურინის ეროვნული კინომუზეუმის – მარია ადრიანა პროლოს ფონდის მიერ წარმოდგენილი პროგრამა აერთიანებს 12 უხმო ფილმს, რომლებიც კოლექციის უძველესი ნიმუშებია. შერჩეული სათაურები მოწმობს, თუ როგორი იყო კინო თავდაპირველად; ესაა კადრები, რომლებიც ფერებს, მაგიას, ოცნებებსა თუ კოშმარებს გამოხატავს.

TBILISI INTERNATIONAL ARCHIVAL FILM FESTIVAL

MUSEO NAZIONALE DEL CINEMA TORINO

MUSEO NAZIONA DEL CINEMA DI TORINO - FONDAZIONE MARIA ADRIANA PROLO
NATIONAL MUSEUM OF CINEMA, TORINO - MARIA ADRIANA PROLO FOUNDATION

Danse De L'éventail (Produzione Lumière, 1897-1899)

[variante Di Nouvelles Luttes Extravagante] (Georges Méliès, Star-film)

Donna Che Balla [da Identificare]

Festa Pirotecnica Nel Cielo Di Londra [grand Display of Brock's Fireworks at the Crystal Palace] (Charles Urban Trading Company, 1904)

La Peine Du Talion (Gaston Velle, Pathé Frères, 1906)

Le Spectre Rouge (Segundo De Chomón, Pathé Frères, 1907)

en Avant La Musique (Segundo De Chomón, Pathé Frères, 1907)

L'amour Et L'argent (Lux Film, 1908)

La Belle Au Bois Dormant ([albert Cappellani, Lucien Nonguet], Pathé Frères, 1908)

Magie Moderne (Segundo De Chomón, Pathé Frères, 1908)

Buonasera Signorina Bonelli! (Giovanni Vitrotti, S. A. Ambrosio, 1906)

Buonasera, Fiori! (S. A. Ambrosio, 1909)

The Museo Nazionale del Cinema di Torino - Fondazione Maria Adriana Prolo proposes a programme consisting of 12 silent films, among the oldest witnesses of our collection. The chosen titles testify to the nature of cinema at its origins. Images that represent an explosion of colours, magic, dreams and nightmares.

მალტის კინოწრე და ეროვნული არქივი

"These Made the News"

მალტის კინოწრე დაარსდა კინოენთუზიასტების პატარა ჯგუფის მიერ 1952 წელს. მათ სურდათ, საკუთარი გატაცება მეგობარი კინორეჟისორებისთვის გაეზიარებინათ.

1950-იანები იყო წლები, როდესაც ჰოლივუდის ფილმები ძალიან პოპულარული გახდა და სამოყვარულო კინოკამერები რამდენიმე ენთუზიასტისთვის იყო ხელმისაწვდომი. 8 მმ-იანი კინოკამერის ეპოქამ მალტამდეც მოაღწია.

თავისი ინოვაციური საქმიანობით The Circle მალე საკმაოდ პოპულარული გახდა და, შედეგად, მისი წევრების რაოდენობაც წლიდან წლამდე იზრდებოდა.

The Circle-ის მიერ ორგანიზებული პირველი აქტივობა იყო სტუმრების ყოველთვიური ღამეები, რომლებზეც მალტელი, ისე ბრიტანელი მოყვარული კინორეჟისორების სამოყვარულო ფილმებს შეკრებილ აუდიტორიას უჩვენებდნენ. ამ ჩვენებებს უძღოდა მოკლე კინოქრონიკები, რომლებსაც The Circle-ის წევრები გასულ თვეებში მალტაში მომხდარ მოვლენებზე იღებდნენ.

კინოქრონიკა, რომელიც 1955-1963 წლებს აერთიანებს, ამჟამად The Circle-ის არქივის მნიშვნელოვანი ნაწილია.
"These Made the News" არის სპორტის, პოლიტიკისა და სხვა მოვლენების ნაკრები, რომელიც სწორედ ამ არქივში ინახება.

TBILISI INTERNATIONAL
ARCHIVAL
FILM FESTIVAL

MALTA CINE CIRCLE AND THE NATIONAL ARCHIVES OF MALTA

"These Made the News"

The Malta Cine Circle was founded in 1952 by a small group of cine enthusiasts who wanted to share their pastime with other fellow film-makers.

The 1950s were the years when Hollywood movies were the rage of the time and home movie cameras were becoming within reach of several enthusiasts. The era of the 8mm cine camera had reached Malta.

Through its innovative activities, the Circle soon became quite popular, and, as a result, its membership increased year on year.

The first activities organised by the Circle were monthly guest nights where amateur film productions by both Maltese and British amateur film makers were exhibited to packed audience. These shows were preceded by short newsreels, filmed by members of the Circle, of events that occurred in Malta in the previous months.

These newsreels, spanning from 1955 to 1963, now form a significant part of the Circle's archives.

"These Made the News" is a selection of sports, political, and other events taken from these archives.

მოლდოვის რესპუბლიკის ეროვნული საარქივო სააგენტო

ყურძნის კრეფა საფრანგეთის კოლონია შაბოს ვენახებში. პატე-ჟურნალი. მიმდინარე მოვლენები. კინოქრონიკა. 1911 წლის ოქტომბერი, ბესარაბია

ფილმი მიეკუთვნება კინოქრონიკის ჟანრს, რომელსაც ევროპაში მე-19 საუკუნის ბოლომდე იყენებდნენ. იგი ასახავს ცნობილი ევროპული კინოჟურნალის 1911 წლის პატე-ჟურნალის (Pathe Journal) გამოშვებას, რომლის ასლიც 1970 წელს საბჭოთა მოლდოვის სახელმწიფო არქივს სსრკ-ის კინოფოტოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივიდან გადაეცა.

კინორეჟისორებმა აღბეჭდეს მევენახე თემის ცხოვრება შაბოში, რომელიც ბესარაბიის სამხრეთით, შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, მდებარეობდა (დღეს ოდესის მხარე უკრაინაში).

მათი შევიცარიელი წინაპრები მეფის თანხმობით ამ ადგილებში დაახლოებით 1822-1823 წლებში დაფუძნდნენ. დასახლებულთა სამუშაო უნარმა, რაციონალურმა მეურნეობამ, მათმა სამართლებრივმა სტატუსმა და რელიგიურ-ეთიკურმა ნორმებმა, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან კარგმა ურთიერთობამ საფუძველი შეძლებულ და ამაყ თემს ჩაუყარა. ცოტა ხნის წინ შაბოდან ბრწყინვალე ქალბატონმა მსოფლიოს გამამხნევებელი და ოპტიმისტური გზავნილი გადასცა.

TBILISI INTERNATIONAL ARCHIVAL FILM FESTIVAL

Agenția Națională a Arhivelor

AGENŢIA NAŢIONALĂ A ARHIVELOR A REPUBLICII MOLDOVA
AGENCY OF NATIONAL ARCHIVES OF THE REPUBLIC OF MOLDOVA

Harvesting grapes in the vineyards of the French colony of Shabag. Pathé-Journal. Current events. Chronicle. October 1911. Bessarabia

The film illustrates the genre of filmed news, known in Europe since the end of the 19th century. It is a sequence from the October 1911 edition of the famous European news serial Pathé-Journal. The film was handed over as a copy in 1970 to the State Archive of Soviet Moldova on behalf of the Central State Archive of Film and Photo Documents of the USSR.

The filmmakers captured a slice of life in a prosperous wine-growing community, Shabag, located in southern Bessarabia, on the northwest coast of the Black Sea (now the Odessa region in Ukraine). Their Swiss ancestors, originally from the Basel and Vaud areas, settled in these lands with the Tsar's approval around 1822-1823. The settlers' working skills, the favourable legal status they received from the authorities, their rational management and ethical-religious values, their perseverance, and good relations with neighbouring localities laid the foundations for a prosperous and proud community. From the Shabag of some time ago, a radiant woman sends an encouraging and optimistic message to the world today.

პორტუგალიის კინოთეკა – კინოს მუზეუმი

A Rosa do Adro
Films de Aurélio Paz dos Reis

1919 წელს გადაღებული ROSA DO ADRO პირველი პორტუგალიური მხატვრული ფილმია. რეჟისორ ჟორჟ პალუს ფილმი Porto's Invicta Film-ის მიერ არის წარმოებული. მე-19 საუკუნის რომანის ადაპტაცია მე-20 საუკუნის დასაწყისში სასიყვარულო სამკუთხედზე მოგვითხრობს. როგორც პორტუგალიის კინოთეკის ყოფილი დირექტორი, ჟოა ბენარდ და კოსტა წერდა, ფილმი გამოირჩევა „ონირიკული და უნიკალური სიუჟეტით, ბუნების ყველგანმყოფობის იდეითა და ერთგვარი უმანკოდ ბიწიერი ან ბიწიერად უმანკო პერსონაჟებით“.

პროგრამა ასევე მოიცავს FILMES DE AURÉLIO PAZ DOS REIS.-ს მოყვარულმა ფოტოგრაფმა აურელიო და პაზ დოს რეისმა პირველი პორტუგალიური ფილმები 1896 წელს, პარიზში ძმები ლუმიერების პირველი ფილმების სანახავად მოგზაურობის შემდეგ გადაიღო. მას ეკუთვნის 33 ფილმი, თუმცა მხოლოდ 4 მათგანი, მთლიანობაში 2 წუთის ხანგრძლივობით, არის შემორჩენილი.

TBILISI INTERNATIONAL ARCHIVAL FILM FESTIVAL

REPÚBLICA PORTUGUESA
CULTURA

cinemateca portuguesa
MUSEU DO CINEMA, I.P.

CINEMATECA PORTUGUESA
MUSEU DO CINEMA, I.P.

CINEMATECA PORTUGUESA – MUSEO DO CINEMA
PORTUGUESE CINEMATECA – FILM MUSEUM

A Rosa do Adro
Films de Aurélio Paz dos Reis

A ROSA DO ADRO, produced in 1919, is the first portuguese feature film. It's directed by Georges Pallu and produced by Porto's Invicta Film. It's an adaptation of a 19th century novel to the early 20th century and tells the story of a love triangle. As the former Cinemateca Portuguesa director, João Bénard da Costa, wrote, "with a plot of an oniric and unique character, the omnipresence of nature, and characters with a certain innocently perverse, or perversely innocent side".

The program will be complemented with FILMES DE AURÉLIO PAZ DOS REIS. Amateur photographer, Aurélio da Paz dos Reis made the first Portuguese films in 1896, after a trip to Paris to see the Lumière Brothers first films. He made 33 films, only four remaining for a total of two minutes.

აშშ-ის ეროვნული არქივი

First Army Aeroplane Flight, Fort Myer, Virginia (1908-9)
Personages: Secretary of Agriculture James Wilson (ca. 1912)
Food Conservation: Sugar Cartoon (1917)
Selections from the U.S. Army Signal Corps Historical Films Series (1917-18), music written and performed by Andrew Earle Simpson
Henry Ford's Mirror of America (1963)

აშშ-ის ეროვნული არქივი ფესტივალზე წარმოადგენს სამთავრობო წარმოების და შემოწირული ისტორიული ფილმების პროგრამას. პირველი მათგანი არის აშშ-ის მთავრობის მიერ შექმნილი ეროვნულ არქივში დაცული უძველესი ფილმი. ახლახან აღმოჩნდა, რომ ფილმი, რომელიც ფორტ მაიერში სამხედრო თვითმფრინავ “Wright Flyer”-ის სატესტო ფრენებს ასახავს, მოიცავს 1908 წლის სექტემბრისა და 1909 წლის ივლისის ფრენებსაც.

შემდეგ ფილმში ფიგურირებს სოფლის მეურნეობის მდივანი ჯეიმს „თამა ჯიმ“ უილსონი, რომელიც „სიმინდის კლუბის ბიჭების“ ჯგუფს 1912 წელს მიმართავდა. თამა ჯიმი მოძრავ სურათებს „ეშმაკის საქმეს“ უწოდებდა და სოფლის მეურნეობის დეპარტამენტს ფილმების საიდუმლოდ გადაღება უწევდა, სანამ მის შესახებ გადაღებული ფილმი არ აჩვენეს და აზრი არ შეიცვალა.

შემდეგი ნამუშევარი არის აშშ-ის სურსათის ადმინისტრაციის მიერ წარმოებული ანიმაციის ადრეული ნიმუში, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს შაქრის კონსერვაციის წასახალისებლად შეიქმნა.

ასევე პირველი მსოფლიო ომის თემაზე წარმოდგენილია ფილმები აშშ-ის არმიის კავშირის კორპუსის ისტორიული ფილმების სერიიდან, რომელიც საფრანგეთის სტუდია "Pathé"-ში ომის დროს არმიის სამეკვშირეო კორპუსის კინოწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ასახავს; ასევე ლუისის ტყვიამფრქვევის აწყობისა და საბრძოლო ფორმირებების შესახებ გადაღებული სასწავლო ფილმები. მაშინ როცა სხვა ფილმები აკომპანიმენტად ჩაწერილ მუსიკას იყენებდა, ამ სეგმენტს ჰქონდა პიანისტ ენდრიუ ერლ სიმპსონის მიერ დაწერილი და ჩაწერილი პარტიტურა.

პროგრამის ბოლო ფილმია აშშ-ის ეროვნული არქივის მიერ 1963 წელს შექმნილი ჰენრი ფორდის “Mirror of America”, რითაც შესაძლებლობა გვეძლევა საზოგადოებას ფორდის ახლად შემოწირული ფილმების კოლექცია წარვუდგინოთ. ჰენრი ფორდმა, ამერიკელმა ავტომობილების მწარმოებელმა, 1914 წელს დააარსა საკუთარი კინოგანყოფილება კინოჟურნალებისა და საგანმანათლებლო ფილმების შესაქმნელად. “Mirror of America” ასახავს შეერთებული შტატების ცხოვრების სურათებს, რომლებიც შედგენილია ფორდის მიერ შემოწირული ფილმებისგან და 1910-1920-იან წლებს მოიცავს.

TBILISI INTERNATIONAL ARCHIVAL FILM FESTIVAL

NATIONAL ARCHIVES

NATIONAL ARCHIVES AND RECORDS ADMINISTRATION OF U.S.

First Army Aeroplane Flight, Fort Myer, Virginia (1908-9)
Personages: Secretary of Agriculture James Wilson (ca. 1912)
Food Conservation: Sugar Cartoon (1917)
Selections from the U.S. Army Signal Corps Historical Films Series (1917-18), music written and performed by Andrew Earle Simpson
Henry Ford's Mirror of America (1963)

The United States National Archives presents a program of government productions and donated historical films. First is the oldest U.S. government-produced film in the holdings of the National Archives. The film documenting Army test flights of the Wright Flyer airplane at Fort Myer, Virginia, was recently found to contain footage from a year earlier than was known, showing flights from both September 1908 and July 1909.

The next film features Secretary of Agriculture James "Tama Jim" Wilson addressing a group of "Corn Club Boys" from around 1912. Tama Jim had called motion pictures "the work of the devil" and the Department of Agriculture had to make movies in secret until he was shown this film of himself and changed his mind.

Next is an example of early animation produced by the U.S. Food Administration to encourage the conservation of sugar during World War I.

Also from World War I, we have selections from the U.S. Signal Corps Historical Films series depicting Signal Corps filmmaking activities at France's Pathé studio during the war, as well as training films on the assembly of a Lewis machine gun and battlefield formations. Whereas the other films use recorded music from our holdings for accompaniment, this segment has a score written and recorded by pianist Andrew Earle Simpson.

ფესტივალების სააგენტო

სინათლის ხრიკი

ვიმ ვენდერსმა ფილმი მიუნხენის ტელევიზიისა და კინოუნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან ერთად გადაიღო. მასში ასახულია კინოს ისტორიის დასაწყისი ბერლინში, სადაც ძმებმა სკლადანოვსკებმა პროექტორი და ბიოსკოპი ააწყვეს ზუსტად იმ დროს, როდესაც ძმებმა ლუმიერებმა იგივე გააკეთეს საფრანგეთში, ედისონმა კი – ამერიკაში.

მათ ერთად გამოიგონეს „მოძრავი სურათები“ თავისებური პოეტური მიმზიდველი და გერმანულისთვის ნაკლებად დამახასიათებელი ხერხებით. ფილმი იწყება ასი წლით ადრე და მთავრდება 1996 წელს მაქს სკლადანოვსკის ქალიშვილ ლუსიათი, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად ახსოვს მამა და კინოს საწყისები.

ფილმი ძირითადად გადაღებულია 1920-იანი წლების ძველი კამერით. ეს არის მუნჯი ფილმი,
კომედიური ჟანრის ფარსი .

TOL01(c)WWS.jpg

TOL02(c)WWS.jpg

TOL03(c)WWS.jpg

TOL04(c)WWS.jpg

TBILISI INTERNATIONAL ARCHIVAL FILM FESTIVAL

WIM WENDERS STIFTUNG

THE FESTIVAL AGENCY

A TRICK OF THE LIGHT

Wim Wenders made this film together with graduates of the University of Television and Film Munich. It shows the beginnings of cinema in Berlin where the brothers Skladanowsky built a projector, the bioscope, at the same time as the Lumière brothers in France and Edison in America.

Together they invented “moving images” their very own, poetic, lovable and rather un-German way. The film begins a hundred years ago and ends in the year 1996, with Max Skladanowsky's daughter Lucie who still remembers her father and the early days of cinema very well.

The film was mainly shot on an old hand-crank camera from the 1920s. A silent movie in original slapstick style.

TBILISI INTERNATIONAL
ARCHIVAL
FILM FESTIVAL

WIM
WENDERS
STIFTUNG

TIAFF@archives.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
Ministry of Justice of Georgia

საქართველოს ეროვნული არქივი
National Archives of Georgia